8427-3-9-3-201805211016

N 8427
21/05/2018

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2018 წლის 30 აპრილის N154/1 გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს განსახილველად გადმოეცა საქართველოს პარლამენტის წევრების სოფიო კილაძის, რატი იონათამიშვილის, ლევან ბეჟანიძის, ირაკლი ბერაიას, ვანო ზარდიაშვილის, დავით მათიკაშვილის, სავალან მირზოევის, დიმიტრი მხეიძის, ანრი ოხანაშვილის, მერაბ ქვარაიას და დიმიტრი ცქიტიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „სოციალური მუშაობის შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **(№07-3/157; 26.04.2018)**.

აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის განხილვის ვადა სავალდებულო კომიტეტებისთვის განისაზღვრა 2018 წლის 21 მაისამდე.

მიმდინარე წლის 16 მაისს კომიტეტს N8196 წერილით მომართა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა, რომელმაც კანონპროექტებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების ინიციატორებთან შეთანხმების მიზნით ითხოვა საკანონმდებლო პაკეტის განხილვის ვადის გაგრძელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 152-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ზემოთ მითითებული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადა გააგრძელოთ ორი კვირით.

პატივისცემით,

სოფიო კილაძე

თავმჯდომარე